




დიდი მწერალი

ლევან ბარკენიშვილი



მსოფლიოში უაღრესად პოპულარულია სხვადასხვა ტიპის ნუსხები: „ყველა დროის ასი საუკეთესო წიგნი“, „ორმოცდაათი წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, „ჩვენი დროის უდიდესი მწერლები“ და ა.შ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გააქტიურდა მსოფლიო მეოცე საუკუნის ბოლოს და შედგა ახალი სიები: „მსოფლიოს ორასი საუკეთესო წიგნი მკითხველთა აზრით“, „საუკეთესო მწერლები გამომცემელთა აზრით“, „ათასწლეულის წიგნები“ და ა.შ. მკითხველების, კრიტიკოსებისა თუ გამომცემელთა აზრი იმდენად განსხვავებული აღმოჩნდა, რომ ბევრი დაიბნა. მაგალითად, კრიტიკოსების ერთი ნაწილი მწერლად საერთოდ არ აღიარებს ჯონ როულინგს, ხოლო მკითხველები და გამომცემლები მას, როგორც „ჰარი პოტერის“ ავტორს, საუკეთესოთა ხუთეულში ასახელებენ და ხშირად შექსპირზე დიდ ავტორად მიიჩნევენ.

გაჩნდა შეგრძნება, რომ საუკეთესო მწერლებისა და საუკეთესო ნაწარმოებების შერჩევის პროცესი უაღრესად სუბიექტურია და „ნამდვილი“ პასუხის, რომელიც ყველას დააკმაყოფილებდა, პოვნა შეუძლებელი აღმოჩნდა. სწორედ იმისთვის, რომ მსოფლიო მწერლობის თაობაზე მეტ-ნაკლებად ობიექტური სურათი მიეღოთ, 2002 წელს ნორვეგიის წიგნის კლუბმა მსოფლიოს 66 ქვეყნიდან ყველაზე უფრო სახელოვანი და აღიარებული 100 მწერალი მოიწვია. რა თქმა უნდა, მწერლების აზრი მწერლობაზე შეიძლე-



ბა ბევრად უფრო ობიექტური იყოს, ვიდრე კრიტიკოსების, გამომცემლებისა და მკითხველებისა. იმ მწერლებს შორის, რომლებსაც უნდა შეედგინათ მსოფლიოს ყველა დროის 100 საუკეთესო წიგნი, იყვნენ ყირგიზი ჩინგიზ აიტმატოვი, ამერიკელები პოლ ოსტერი და ნორმან მეილერი, მექსიკელი კარლოს ფუნტესი, ჩეხი მილან კუნდერა, ინგლისელები ჯონ ლე კარე და დორის ლესინგი, გერმანელი ზიგფრიდ ლენცი, შვედი ასტრიდ ლინდგრენი, თურქი ორჰან ფამუჩი, ფრანგი ალენ რობ-გრეი, ინდოელი სალმან რაშდი, ნიგერიელი ვოლფ სოინკა – თანამედროვე მსოფლიოს მართლაც რჩეული მწერლები.

ნორვეგიის წიგნის კლუბის თაოსნობით შეკრებილმა მწერლებმა მართლაც შექმნეს მსოფლიოს ყველა დროის ასი საუკეთესო წიგნის ნუსხა, რომელშიც ყველაზე მეტი, ოთხი წიგნით, წარმოდგა ფიოდორ დოსტოევსკი, სამ-სამით – უილიამ შექსპირი, ლევ ტოლსტოი და ფრანც კაფკა, ორ-ორით – ჰომეროსი, გუსტავ ფლობერი, უილიამ ფოლკნერი, თომას მანი, გაბრიელ გარსია მარკესი და ა.შ. ამავე დროს, ამ მწერლების აზრით, ყველაზე დიდი წიგნი, რაც კი ოდესმე დაწერილა, არის სერვანტესის „დონ კიხოტი“, თუმცა სერვანტესის ვერც ერთი სხვა წიგნი ასი წიგნის ამ ჩამონათვალში ვერ მოხვდა.

მწერლები მხოლოდ ნუსხას ადგენდნენ; მათ არ გვითხრეს, რატომ არის „დონ კიხოტი“ ასეთი კარგი წიგნი; არ გვითხრეს, რატომ იყო შედეგების წერაში დოსტოევსკი ბალზაკზე უფრო ნაყოფიერი, თუ ბალზაკმა მასზე ბევრად მეტი წიგნი დაწერა და გაცილებით უფრო „უხვმოსავლიანი“ იყო, როგორც მწერალი. „ნორვეგიულ“ სიაში დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, „იდიოტი“, „ემმაკინი“ და „ძმები კარამაზოვები“ შევიდა, ხოლო ბალზაკისა — მხოლოდ „მამა გორიო“. მწერლებმა არ გვითხრეს, თუ რატომ მოხვდა მსოფლიო შედეგების ამ ნუსხაში შექსპირის „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“ და „ოთელო“ და არ მოხვდა არა მხოლოდ გენიალური ტრაგედიები „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“ ან „რომეო და ჯულიეტა“, არამედ მისი არანაკლები სიდიადის კომედიები, მაგალითად, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ვენეციელი ვაჭარი“ და „ჭირვეულის მორჯულება“ ან, თუნდაც, საქვეყნოდ ცნობილი სონეტები.

როგორი უნდა იყოს დიდი მწერალი, საერთოდ რას ნიშნავს სიდიდე მწერლობაში? ცნობილია, რომ დიდი მწერლების სიას, როგორ წესი, ქრონოლოგიურად სათავეში უდგას დიდი ბერძენი პოეტი, „ილიადისა“ და „ოდისეის“ ნამდვილი და მისი სახელით ცნობილი ჰიმნების ან სხვა პოემების სავარაუდო ავტორი – ჰომეროსი. ჯერჯერობით ისეთი მეცნიერი, კრიტიკოსი, მწერალი ან კვალიფიციური მკითხველიც კი არ გამოვლენილა, რომელიც ჰომეროსის სიდიდეში ეჭვს შეიტანდა. ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უტყუარი ავტორიტეტი მწერლობის სფეროში. მოდი, ვნახოთ, რას წარმოადგენს მისი სიდიდე და როგორ იზომება იგი.

უპირველეს ყოვლისა, მწერალი დიდია, თუ მისი ნაწარმოები დიდი იყო მაშინაც, როცა დაიწერა და დიდი რჩება ან კიდევ უფრო გაზრდილია დღეს. თუ




ჩინუა აიტმატოვი
(1928-2008)




ვილ მსტარი
(დაბ. 1947)




ნორმან მეილერი
(1923-2007)



კარლოს ფუნტესი
(1928-2012)



მილან კუნდერა
(დაბ. 1929)




ჯონ ლე კარა
(დაბ. 1931)



დორის ლესინგი
(1919-2013)



ზიგზრიდ ლენცი
(1926-2014)



ჰომეროსი

იგი უპასუხებდა თავის დროსაც და უპასუხებს დღევანდელობასაც. რა თქმა უნდა, უფრო მნიშვნელოვანია, დღეს როგორ ფასდება ესა თუ ის მწერალი. იშვიათი არ არის შემთხვევა, რომ სიცოცხლეში უადრესად პოპულარული მწერალი შემდგომ ეპოქებში ამ სიმაღლეს ვეღარ ინარჩუნებს. სამაგალითოდ გამოგვადგება შესანიშნავი ბერძენი პოეტი ჰესიოდე, რომელსაც ძველი ბერძენები ჰომეროსის გვერდით აყენებდნენ და ხანდახან უპირატესობასაც კი ანიჭებდნენ, დღეს კი მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტებისა და ცალკეული დაინტერესებული მკითხველისთვისაა ცნობილი. ამავე დროს დასამალი არ არის, რომ, ჰომეროსისა და ჰესიოდესგან განსხვავებით, არსებობენ მწერლები, რომელთა სიდიდე ბევრისთვის შეუმჩნეველი დარჩა მათ ცხოვრებაში და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დაიკავეს თავისი ღირსეული ადგილი. XX საუკუნე იცნობს რამდენიმე ასეთ შემთხვევას. კლასიკური მაგალითია დიდი მწერალი ფრანც კაფკა, რომლის სიდიდე მის სიცოცხლეში მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ, დღეს კი საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც მეოცე საუკუნის მწერლობის ერთ-ერთი უდიდესი გენიოსი.

გარდა ზემოთქმულისა, მწერლის სიდიდე განისაზღვრება იმ გავლენით, რომელიც მას მოუხდენია თავის თანამოძმეებზე, სხვა მწერლებზე. მაგ-

აღივად, ცნობილია, რომ ჰომეროსმა გავლენა იქონია დიდ რომაელ პოეტზე, რომაული ნაციონალური ეპოსის შემოქმედზე – პუბლიუს ვერგილიუს მარონზე და, შესაბამისად, შემდგომ მთელ ევროპულ ლიტერატურაზე. როგორ მოახდინა ჰომეროსმა გავლენა ვერგილიუსზე? ჰომეროსის „ილიადა“ აღწერს ტროის ომს და „ოდისეა“ ამ ომიდან ოდისევსის შინ დაბრუნების ფათერაკებს. ვერგილიუსის პოემა „ენეიდა“ აღწერს ენეასის ფათერაკებით სავსე მოგზაურობას ახალი სამშობლოს საძებნელად („ოდისეის“ აშკარა გავლენით) და ბრძოლას იტალიაში ადგილის დასამკვიდრებლად („ილიადის“ აშკარა გავლენით). „ილიადა“ და „ოდისეა“ ბერძნული ანბანის 24 ასოს მიხედვით ძველმა მეცნიერებმა 24-24 სიმღერად დაჰყვეს, ხოლო ვერგილიუსმა სრულიად გააზრებულად თავისი პოემა ოცდაოთხის ნახევარ, თორმეტ სიმღერად დაჰყო და პირველი ექვსი მთავარი გმირის მოგზაურობას დაუთმო და ბოლო ექვსი – იტალიურ ომს.

ჰომეროსი იქცა თავისი ხალხის ნამდვილ მასწავლებლად. ბერძნული განათლების სისტემა გულისხმობდა სწორედ ჰომეროსის შესწავლას. ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს ბერძნები ჰომეროსის გათვალისწინებით აწყობდნენ და ცდილობდნენ, პოლიტიკური მოწყობაც კი მისი პოეზიისთვის მიესადაგებინათ. ცხოვრების ყოველ სფეროში ჰომეროსი გახდა ეტალონი, მისაბაძი მაგალითი ან ათვლის წერტილი, საიდანაც უნდა მომხდარიყო განვითარება. ჰომეროსმა წარუშლელი გავლენა მოახდინა მთელ ბერძნულ კულტურაზე, არ არსებობს არც ერთი ბერძენი დრამატურგი, ტრაგიკოსი იქნება ეს თუ კომიკოსი, არც ერთი პროზაიკოსი, მხატვრული პროზის ოსტატი თუ ისტორიკოსი, არც ერთი ფილოსოფოსი, რომელსაც ჰომეროსი თავის მასწავლებლად არ ჰყავდა აღიარებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ილიადა“ და „ოდისეა“ ბერძენი ხალხისთვის გახდა ნაციონალური ეპოსი, როგორც „ენეიდა“ – რომაელებისთვის ან როგორც „ვეფხისტყაოსანი“ – ქართველებისთვის.

რაგინდ დიდი არ უნდა იყოს ამა თუ იმ მწერლის ნაციონალური ავტორიტეტი, საერთაშორისო აღიარების გარეშე მისი სიდიდე ლოკალურ ტერიტორიას ან ენას ვერ გასცდება. კოლუმბიას უამრავი „დიდი“ მწერალი ჰყავს, მაგრამ მსოფლიომ მათგან მხოლოდ გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის ასი წლისა“ და „ქოლერის დროინდელი სიყვარულის“ ავტორი აღიარა. არაბულ სამყაროს ათასობით უნიჭიერესი მწერალი ჰყავს, მაგრამ მსოფლიომ „მირამარის“ ავტორი ნაჯიბ მაჰფუზი გამოჰყო; არგენტინელი გენიოსებიდან კი იმავე მსოფლიომ მხოლოდ კორტასარისა და, განსაკუთრებით, ბორხესის სახელები გამოარჩია.

ზოგიერთს ჰგონია, რომ დიდი მწერალი დიდი ქვეყნიდან უნდა იყოს. დიდი ქვეყანა ნიშნავს დიდ ენას, მრავალ მკითხველს, დიდ აუდიტორიას, დიდ ტირაჟებს და ა.შ. საუკეთესო ავტორებისა და ნიგნების სიები ადასტურებს ამ თეზისს: ბევრი დიდი მწერალია დიდი ბრიტანეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან. ბუნებრივია, დიდი ქვეყანა „ეხმარება“ თავის დიდ მწერალს, მაგრამ ამ წესს აქვს თავისი



ასტრიღ ლინღგრენი (1907-2002)



ორჰან ზაზაშვილი (დაბ. 1952)




ალან რუმ-ბრიდი (1922-2008)



სალმან რაშდი (დაბ. 1947)



ვოლენსკი
(დაბ. 1934)



ლევ ტოლსტოი
(1828-1910)



ფრანც კაფკა
(1883-1924)



გუსტავ ფლობერი
(1821-1880)

გამონაკლისები: ნორვეგიის მოსახლეობა ხუთ მილიონს ოდნავ აღემატება და, ბუნებრივია, ნორვეგიას დიდ ქვეყნად ვერ ჩავთვლით, მაგრამ სწორედ ამ ქვეყანამ, რომელიც ტერიტორიითა და მოსახლეობით სულ ოდნავ უსწრებს საქართველოს, მსოფლიოს მისცა ისეთი აღიარებული დიდი მწერლები, როგორებიც იყვნენ „შიმშილის“, „მისტერიებისა“ და „ვიქტორიის“ სახელგანთქმული ავტორი, დიდი მწერალი კნუტ ჰამსუნი და „გარეული იხვისა“ და „თოჯინების სახლის“ ავტორი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგი – ჰენრიკ იბსენი. არც ათმილიონიანი პორტუგალიაა აღიარებული დიდ ქვეყნად, მაგრამ ეროვნული ეპოსის – „ლუიზიადების“ ავტორი ლუიშ დე კამოესი, დიდი პოეტი ფერნანდო პესოა და 1988 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ჟოზე სამარაგუ მთელ მსოფლიოში აღიარებული დიდი მწერლები არიან. ამ თვალსაზრისით „ჩემპიონია“ პატარა ირლანდია, რომელიც მოსახლეობითაც და ტერიტორიითაც საქართველოს უტოლდება; იგი არ გახლავთ დაჩაგრული მსოფლიო ტალანტებით და დიდი მწერლებით: „გულივერის მოგზაურობის“ ავტორით, ჯონათან სვიფტით, დაწყებული, „ტრისტრამ შენდის“ შემოქმედით, ლორენს სტერნით, „დორიან გრეის პორტრეტისა“ და შესანიშნავი ზღაპრების ავტორით – ოსკარ უაილდითა და „პიგმალიონის“ ავტორის, შესანიშნავი დრამატურგით – ბერნარდ შოუთი გაგრძელებული და მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი პოეტით, უილიამ ბატლერ იეიტსითა და მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერლით, „ულისეს“ ავტორით – ჯეიმს ჯოისით დამთავრებული. მართალია, ირლანდიელებს ის ეხმარება, რომ ისინი ინგლისურად წერენ.

როგორ წერს დიდი მწერალი? მაგალითისთვის ავიღოთ იგივე ჰომეროსი და მისი „ილიადა“ – ევროპული ლიტერატურის პირველი ძეგლი. რაზე მოგვითხრობს ეს წიგნი? ამ კითხვაზე პასუხი თითქმის ყველამ იცის: „ილიადა“ ტროის ომზე მოგვითხრობს. როგორ აღწერდა ვინმე სხვა, არა ჰომეროსი, ამ ომს? მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ ეს დავალება ჩვენ მოგვეცა, ჩვენ უნდა აღწეროთ ტროის ომი. შევასრულოთ ეს ამოცანა და შემდეგ ჩვენი მოკრძალებული შედეგი ჰომეროსის ოცდარვა საუკუნიან შედეგს შევადაროთ.


ტროის ომის დაწყება ხდება **ab ovo**, ანუ „კვერცხიდან“. ლათინური გამოთქმა **ab ovo** ითარგმნება, როგორც „თავიდან“ ან „სულ თავიდან“ და გულისხმობს, რომ რაღაც დაიწყო კვერცხიდან გამოჩეკილი სიცოცხლით. ტროის ომი კი დაიწყო კვერცხიდან გამოჩეკილი ადამიანით, სახელგანთქმული მშვენიერი ჰელენით. უპირველეს ყოვლისა, საიდან გაჩნდა კვერცხი? ასე მივადგებით არა მხოლოდ ტროის ომის, არამედ, ძველი ბერძნების აზრით, „ყველაფრის“ კიდევ ერთ დასაწყისს, ადამიანთა და ღმერთთა მამას, ზევსს. ბერძნული მითების მოყვარულებმა იციან, რომ სამყარო ზევსამდე შეიქმნა, მაგრამ წმინდა რელიგიური თვალსაზრისით, ზევსი მანამდეც იყო, სანამ დაიბადებოდა. ახლა არ გამოვედევნოთ მანამდე მომხდარ ამბებს (ქაოსი-ურანოსი-კრონოსი) და დავიწყოთ ზევსით.

ზევსი



რომ ვთქვათ, ზევსს ქალები უყვარდა და თავისი მეუღლის, ჰერას, ეჭვიანობას გამუდმებით აძლევდა საბაბსო, ეს ნიშნავს, არაფერი ვთქვათ – ზევსს არა მხოლოდ უყვარდა ქალები, ის თავად სიყვარული იყო. და ეს სიყვარული მისი ახირება კი არა, მისი არსი იყო: ჭეშმარიტად, ღმერთი სიყვარულია. საყვარელ არსებასთან შერთვა და მისგან შთამომავლობის მიღება ზევსის ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა. სხვადასხვა ქალს ის სხვადასხვა სახით მოეველინებოდა, რადგან ნამდვილი სახით მისი დანახვა მოკვდავისთვის შეუძლებელი იყო. მშვენიერ ქალს, ეტოლიის მეფე თესტიოსის ასულსა და სპარტის მეფე ტინდარევის მეუღლეს, ლედას, იგი არწივისგან ძლივს თავდაღწეული საბრალო გედის სახით მოეველინა, აცდუნა ქალი და შეეუღლა. იმავე ღამით ლედა დაუნვა თავის მეუღლესაც. ამ ფანტასტიკური მოვლენის შედეგად ლედამ დადო ორი კვერცხი, რომლიდანაც გამოიჩეკნენ დები – ჰელენე და კლიტემნესტრა და ძმები – კასტორი და პოლიდეკესი. ლედას შვილებიდან ერთ-ერთს, ჰელენეს, ანუ „მშვენიერ ჰელენეს“ ჩვენ კარგად ვიცნობთ, როგორც ტროის ომის გამომწვევ მიზეზს. მივატოვოთ ჰელენე მოკვდავი და გამზრდელი მამის (თუმცა ჩვენ უკვე ვიცით საიდუმლო, სინამდვილეში ის ზევსის ასულია), ტინდარევის სასახლეში, სპარტაში, და თავად გადავინაცვლოთ თესალიაში, ჩრდილოეთ საბერძნეთში, ქალაქ ფთიაში.


აქაც ყველაფერი ზევსით იწყება. ზევსს მოეწონა ზღვის მეფის, ნერევის, ქალიშვილი – ვერცხლისფეხება თეტისი, მაგრამ მოულოდნელად მეტოქე გაუჩნდა პრომეთესის სახით. პრომეთესმა (მისი სახელი შეიძლება „წინასწარ მომფიქრებელს“, „წინასწარმეტყველსაც“ ნიშნავდეს) გააფრთხილა ადამიანთა და ღმერთთა მამა, რომ თეტისთან შეუღლების შემთხვევაში მას შეეძინებოდა ვაჟი, აქილეუსი, რომელიც სიდიადით მამას გადააჭარბებდა. ზევსს ტყუილად არ უნოდებდნენ „ბრძენს“, დაუჯერა პრომეთესს და არც მას დაუთმო თეტისი, რომ ახალი მძლავრი ღმერთის დაბადებისთვის ხელი შეეშალა. ორი მეტრფის საბოლოო გადაწყვეტილებით, უკვდავი თეტისი მოკვდავ პელეუსს – მირმიდონელთა მეფეს მიათხოვეს.



შილვა გვლახარი
(1897-1962)



თომას მანი
(1875-1955)




გაბრიელ გარსია
მარკესი
(1927-2014)



შალიო კორტასარი
(1914-1984)



სორხე ლეონიდ ბრეჟნევი
(1899-1986)



კონსტ პაუსტოვი
(1859-1952)



კონსტანტინ ლეონტი
(1828-1906)



ლეონტი და კამოუსი
(1524(?)-1580)



ლელა და გედი, მხატვარი ლეონარდო და ვინჩი, 1510-1515, გალერეა ბორგეზე, რომი

ადამიანისა და ქალღმერთის ქორწილში ბევრი ადამიანი და უამრავი ღმერთი დაპატიჟეს. მონვეულ ღმერთებს შორის არ აღმოჩნდა ერისი – ქაოსის, უთანხმოებისა და არეულობის ქალღმერთი. ქალღმერთს ეწყინა, დაანერა ოქროს ვაშლს „ყველაზე მშვენიერ ქალს“ (ἡ καλλίστη – „ტე კალისტე“) და შეაგორა ქორწილში. სამმა ქალღმერთმა მიიჩნია, რომ ვაშლი მას ეკუთვნოდა: ზევსის მეუღლემ, ძალაუფლების, ოჯახისა და მშობიარობის მფარველმა ქალღმერთმა, დიდებულმა ჰერამ; ზევსის ასულმა, სიბრძნისა და სამართლიანი ომის ქალღმერთმა, ქალწულმა ათენამ და სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთმა აფროდიტემ (ჰომეროსის მიხედვით, ზევსისა და დიონეს ასულმა, თუმცა არსებობს კრონოსის მიერ ურანოსისთვის მოკვეთილი ასოთი გაჩენილი ზღვის ქაფიდან აფროდიტეს დაბადების უფრო დრამატული და პოეტური ვერსია). გაჩნდა კითხვა: რა არის მშვე-

ნიერება – ძალაუფლების სიდიადე, სიბრძნე და ვაჟკაცობა თუ ფიზიკური სილამაზე? ზევსი თავისიანების კამათში არ ჩაერია და სამი ქალღმერთი ტროის უფლისწულთან, მეფე პრიამოსის ძესთან, პარისტან, გაგზავნა. პარისტისთვის ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა ამ ულამაზეს ქალღმერთთან გან იდეალური სილამაზის ქალი შეერჩია და დაიწყო „წინასაარჩევნო“ შემოთავაზებები: ჰერა მას მთელ ევროპასა და აზიას დაჰპირდა; ათენა – ომში სწორუპოვარ ვაჟკაცობას, სიბრძნეს და დიდი მეომრის თვისებებს; ხოლო აფროდიტე – დედამინის ყველაზე ლამაზი ქალის, სპარტის დედოფლის, ჰელენეს სიყვარულს. პარისტმა სწორედ ჰელენე აირჩია და გამარჯვებულად აფროდიტე დაასახელა. ტროის მომავალ ომში განაწყენებული ჰერა და ათენა მისი და მისი სამშობლოს დაუძინებელი მტრები იქნებიან.


ჰელენე უკვე გათხოვილი იყო სპარტის მეფე მენელაოსზე (ეს არ უთქვამს აფროდიტეს), ასე რომ, პარისტს ისღა დარჩენოდა, სტუმრად ჩასულიყო მენელაოსთან და მოეტაცა ჰელენე (ზოგი ვერსიით, ჰელენეს შეუყვარდა პარისი და საკუთარი ნებით გაჰყვა მას). თავის დროზე ჰელენეს, როგორც დედამინის ულამაზეს ქალს, უამრავი მთხოვნელი ჰყავდა. ოდისევსის რჩევით ტინდარევსმა ყველა სასიძოს ფიცი დაადებინა, რომ პატივს სცემდნენ ჰელენეს არჩევანს და დაიცავდნენ მის ქორწინებას. როდესაც პარისტმა ჰელენე მოიტაცა, მენელაოსმა ყველას შეახსენა სწორედ ეს ფიცი. ბერძნებმა გადანყვიტეს, ჰელენე დაებრუნებინათ; თავი მოუყარეს მთელი საბერძნეთის მეფეებსა და წინამძღოლებს, დიდ გმირებს – აქილევსს, ოდისევსს, აიასს, დიომედესს, ნესტორს და სხვებს; შექმნეს უზარმაზარი ლაშქარი, რომელსაც სათავეში მენელაოსის ძმა, მიკენის მეფე აგამემნონი ჩაუყენეს



ზვიად გომბაური
(1888-1935)



შოთა რუსთაველი
(1922-2010)




ბერნარდ შოუ
(1856-1950)



უილიამ ბატლერ
იეიტსი
(1865-1939)



მშვენიერი ჰელენე და პარისი, მხატვარი ჟაკ ლუი დავიდი, 1788, ლუვრის მუზეუმი, პარიზი



ნაჯიბ მაჭვური
(1911-2006)



ვილიამ შკასვილი
(1564-1616)



ოსკარ უაილდი
(1854-1900)



ჯვიდს ჯვიდსი
(1882-1941)




და უამრავი ხომალდისგან შემდგარი უზარმაზარი ფლოტით მიადგნენ პარისის სამშობლოს, ტროადის ნაპირს. ასე დაიწყო ტროის ომი. ომი ათ წელს გრძელდებოდა და საბოლოოდ უამრავი გმირის, მათ შორის საუკეთესო ბერძენი და ტროელი გმირების – აქილევსისა და ჰექტორის სიკვდილით, ტროის საბოლოო დაქცევითა და ჰელენეს საბერძნეთში დაბრუნებით დასრულდა.

ჰომეროსი რომ არა დიდი, არამედ ჩვეულებრივი მწერალი ყოფილიყო, თავის პოემას ზევსით თუ არა, ლედას კვერცხით თუ არა, განხეთქილების ვაშლით თუ არა, ჰელენეს მოტაცებით თუ არა, ტროის ომის გაჩაღებით მაინც დაიწყებდა; მაგრამ ჰომეროსი ჩვეულებრივი მწერალი არ არის – „ილიადაში“ ტროის ომის არც დასაწყისია აღწერილი და არც დასასრული, ამ პოემაში აღწერილია ტროის ომის მხოლოდ მეათე წლის ორმოცდათორმეტი დღე (ეს დღეები იყოფა სამოქმედო და უმოქმედო დღეებად და განანილებულია წრიული სიმეტრიით, იხ. ქვემოთ სქემა); „ილიადა“ იწყება აქილევსის განრისხებით და მთავრდება მამისთვის – პრიამოსისთვის მოკლული ვაჟის – ჰექტორის ცხედრის გადაცემით და მისი დაკრძალვით. მიუხედავად ამისა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმეს ისე სრულად გადმოეცა ტროის ომის ამბავი, როგორც ეს ჰომეროსმა მოახერხა. კაცმა რომ თქვას, ამგვარი, თითქმის ჯადოსნური ოსტატობა არის კიდევც პასუხი კითხვაზე, თუ რა არის დიდი მწერალი. ჰომეროსი დროის იმ მცირე მონაკვეთიდან, რომელსაც აღწერს, დროის ისრებს ისვრის წარსულსა და მომავალში და მისი გმირების, ღმერთებისა და ადამიანების მოგონებებში ცოცხლდება წარსული და მათსავე წინასწარმეტყველებაში რეალური ხდება მომავალი. ასე, მაგალითად, ზევსის წინასწარმეტყველება გვიმჟღავნებს ტროის ომის განვითარებისა და მისი დასრულების დეტალებს:



„გაქცეულები მივარდნენ აქილევს პელევსის ძის ლამაზგემბანიან ხომალდებს და მან ბრძოლაში ჩართოს თავისი მეგობარი პატროკლოსი; იგი შუბით განგმიროს სახელოვანმა ჰექტორმა ილიონის წინ მას შემდეგ, რაც ეს გმირი მრავალ სხვა ტროელ ჭაბუკს გამოასალმებს სიცოცხლეს, მათ შორის ჩემს საკუთარ ვაჟსაც, ღვთაებრივ სარპედონს. და მაშინ მოკლას ჰექტორი განრისხებულმა აქილევსმა. ამის შემდეგ ბრძოლას სამუდამოდ გადმოვანაცვლებ ხომალდებიდან და მანამ გავაგრძელებ, სანამ აქაველები არ აიღებენ მაღალ ილიონს ათენას რჩევების მიხედვით“.



ფიოდორ დოსტაევისკი (1821-1881)



ლეონოვ დე პალზაკი (1799-1850)



ერნესტ ჰემინგუეი (1899-1961)



მიგელ დე სერვანტესი (1547(?)-1616)

ეს დიდი მწერლობის მხოლოდ ერთი მაგალითია. დანარჩენების მოძიება თქვენთვის მიმინდვია.

შესაბამისად, მწერალი დიდია, თუ

- დიდია მისი ნაწარმოები;
- გავლენა მოახდინა სხვა მწერლებზე;
- აქვს ნაციონალური აღიარება;
- აქვს საერთაშორისო აღიარება;
- დიდ მწერალს „ეხმარება“ დიდი ქვეყანა, თუმცა ცნობილი არიან პატარა ქვეყნების დიდი მწერლებიც;
- მწერლის სიდიდეს ყველაზე უკეთ განსაზღვრავს მისი ოსტატობა

დღეების სიმეტრიული განაწილება „ილიადაში“

1	9	1	12	1	1	1	1	ლამე	1	1	1	1	12	1	9	1
---	---	---	----	---	---	---	---	------	---	---	---	---	----	---	---	---

1	ქრისეისის მოთხოვნა
9	შავი ჭირი, ათენელები წვავენ გვამებს
1	აქილევსის რისხვა, ქრისეისის დაბრუნება
12	ღმერთები ეთიოპიაში და მათი დაბრუნება
1	თეტისი სთხოვს დახმარებას ზევსს
1	პირველი ორთაბრძოლა, დიომედესი, მეორე ორთაბრძოლა
1	აქაველთა გალავნის აგება
1	ტროელთა შეტევა
ლამე	ელჩობა აქილევსთან, დოლონია
1	ჰექტორი კლავს პატროკლოსს
1	აქილევსი კლავს ჰექტორს
1	პატროკლოსის დაკრძალვა
1	დაკრძალვის შემდგომი თამაშები
12	ჰექტორის გვამის შეურაცხყოფა და დაბრუნება
1	პრიამოსის დაბრუნება, ჰექტორის დატირება
9	ჰექტორის კოცონის მომზადება
1	ჰექტორის დაკრძალვა